

სს დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის მისაკუთვნიებული წმინდა აქტივების ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძვლები	7
3. კრიტიკული შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	8
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	8
5. ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით შეფასებული	15
6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	16
7. გამოსყიდვადი აქციები	16
8. საპროცენტო შემოსავალი.....	16
9. მართვის საკომისიო	16
10. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
11. პირობითი ვალდებულებები	17
12. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17
13. არსებითი პოლიტიკის შეჯამება	17

სს დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ფინანსური აქტივი სამართლიანი ღირებულებით	5	84,675,231	67,861,122
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	6	4,039,833	1,411,889
ჯამური აქტივები		88,715,064	69,273,011
ვალდებულებები			
სხვა ვალდებულება		491,822	527,276
სულ ვალდებულება (გამოკლებული გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის მისაკუთვნიებული წმინდა აქტივები)		491,822	527,276
გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის მისაკუთვნიებული წმინდა აქტივები		88,223,242	68,745,735

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მენეჯმენტის სახელით დამტკიცდა 2025 წლის 14 თებერვალს:

დირექტორი

ანა კვარაცხელია

სს დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ფინანსური აქტივი სამართლიანი ღირებულებით	5	84,675,231	67,861,122
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	6	4,039,833	1,411,889
ჯამური აქტივები		88,715,064	69,273,011
ვალდებულებები			
სხვა ვალდებულება		491,822	527,276
სულ ვალდებულება (გამოკლებული გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის მისაკუთვნიებული წმინდა აქტივები)		491,822	527,276
გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის მისაკუთვნიებული წმინდა აქტივები		88,223,242	68,745,735

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მენეჯმენტის სახელით დამტკიცდა 2025 წლის 14 თებერვალს:

დირექტორი



ანა კვარაცხელია

სს დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი
 მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით
 (ლარში)

	შენიშვნა	დამთავრებული წლისთვის - 31 დეკემბერი 2024	დამთავრებული წლისთვის - 31 დეკემბერი 2023
საპროცენტო შემოსავალი	8	9,010,266	3,572,142
გამოსყიდვადი აქციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		206,244	1,880,375
სულ შემოსავალი		9,216,510	5,452,516
		-	-
მართვის საკომისიო	9	(861,626)	(311,433)
სამოტივაციო საკომისიო		(33,320)	(75,373)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(41,880)	(59,812)
საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა(ზარალი)/ამონაგები		(25,957)	(3,173)
სულ საოპერაციო ხარჯი		(962,780)	(449,791)
საოპერაციო მოგება		8,253,729	5,002,725
გამოსყიდვადი აქციების მფლობელებზე განაწილება		(4,235,708)	(1,409,945)
სულ ფინანსური ხარჯი		(4,235,708)	(1,409,945)
გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის მისაკუთვნილებელი წმინდა აქტივების ზრდა		4,018,021	3,592,780

სს დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი

გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის მისაკუთვნიებული წმინდა აქტივების ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
წლის დასაწყისში გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის მისაკუთვნიებული წმინდა აქტივები	71,746,683	26,175,844
გამოშვებული გამოსყიდვადი აქციებიდან მიღებული შემოსავალი	16,207,069	40,106,444
გამოსყიდვადი აქციების გამოსყიდვა	-	(268,940)
წმინდა ზრდა აქციების ტრანზაქციებიდან	87,954,780	66,013,348
გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის მიკუთვნიებული წმინდა აქტივების ზრდა ოპერაციებიდან	8,253,729	5,002,725
გამოსყიდვადი აქციების მფლობელებზე განაწილება	(7,985,267)	(2,270,338)
გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის მისაკუთვნიებული წმინდა აქტივები წლის ბოლოს	88,223,239	68,745,735

სს დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარებით

(ლარში)

	შენიშვნა	დამთავრებული წლისთვის 31 დეკემბერი 2024	დამთავრებული წლისთვის 31 დეკემბერი 2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მფლობელებზე მისაკუთვნიებული გამოსყიდვადი აქტივების ზრდა		8,253,729	5,002,725
კორექტირებები:			
საპროცენტო შემოსავალი	8	(9,010,266)	(3,572,142)
ფინანსური აქტივები შეფასებული სამართლიანი ღირებულებით	5	(12,135,610)	(41,732,428)
სხვა ვალდებულებები		(58,471)	401,613
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(12,950,617)	(39,900,258)
მიღებული პროცენტი		7,294,099	3,180,229
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(5,656,519)	(36,720,029)
ფულადი ნაკადები ფინანსური ოპერაციებიდან			
გამოშვებული გამოსყიდვადი აქციებიდან მიღებული შემოსავალი		16,208,097	40,106,444
გამოსყიდვადი აქციების გამოსყიდვა		-	(268,940)
გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდი		(7,985,267)	(2,270,338)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური ოპერაციებიდან		8,222,829	37,567,166
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და მის ექვივალენტებში			
ფული და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში		1,473,522	564,752
ვალუტის კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და მის ექვივალენტებზე		-	-
ფული და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს		4,039,833	1,411,889

სს დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი („ფონდი“) არის საქართველოში რეგისტრირებული კომპანია (საიდენტიფიკაციო კოდი: 402199713), რომელიც დაფუძნდა 2021 წლის 15 დეკემბერს საქართველოს მეწარმეთა კანონის საფუძველზე და რეგისტრირებულია საქართველოს „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ კანონით, როგორც ინტერვალური ფონდი. ფონდმა საქმიანობა დაიწყო 2022 წლის 8 აპრილიდან.

ფონდის საინვესტიციო მიზანია შემოსავლის მიღება. ფონდი ცდილობს ამ მიზნის მიღწევას თავისი აქტივების ოპტიმალურად განაწილებით, სხვადასხვა საკრედიტო სტრატეგიებში, ფონდის გეოგრაფიული პროფილის შესაბამისად. ძირითადად საქართველოში. ფონდი ოპტიმალურად ახორციელებს ინვესტიციებს ფინანსურ ინსტრუმენტებში, რომლებიც წარმოდგენილია აშშ დოლარსა ან ევროში.

ფონდის საინვესტიციო საქმიანობას მართავს შპს თიბისი აქტივების მართვა („აქტივების მმართველი“), რომელიც წარმოადგენს აქტივების მმართველ კომპანიას და ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (ლიცენზიის ნომერი: 256) საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონის შესაბამისად. მხოლოდ აქტივების მმართველს აქვს უფლება მართოს და წარმოადგინოს ფონდი, აგრეთვე განახორციელოს მისი საქმიანობა ფონდის წესდებისა და აქტივების მართვის შეთანხმების საფუძველზე.

ფონდის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა №7.

2. მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმისთვის, რომ ფონდმა დააკმაყოფილოს რეგულატორის და/ან გამოსყიდვადი აქციების მფლობელთა მოთხოვნები კერძო განთავსების მემორანდუმის („PPM“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მიღებული საბუღალტრო პოლიტიკის დაცვით საჭიროებს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. ფონდის საბუღალტრო პოლიტიკის პრაქტიკაში დანერგვისას, მოითხოვება ხელმძღვანელობის შეფასება. ის სფეროები, სადაც ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და შეფასებები და მათ მიერ წარმოქმნილი ეფექტები, წარმოდგენილია შენიშვნაში №3. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკა, რომელიც მოცემულია შენიშვნაში №13, სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან (IFRS).

ფონდის საანგარიშგებო პერიოდი არის კალენდარული წელი - 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფონდი ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ყოველწლიურად. ანგარიშგებაში მოცემული თანხები წარმოდგენილია დამრგვალების გარეშე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ფონდის წარსადგენი ვალუტა არის აშშ დოლარი, რომელიც ასევე წარმოადგენს ფონდის ფუნქციურ ვალუტას.

„ფუნქციური ვალუტა“ არის ის ვალუტა, რომელშიც ფონდს აქვს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა. თუ ძირითადი ეკონომიკური გარემოს მაჩვენებლები ერთმანეთთან შეუთავსებელია, მაშინ ხელმძღვანელი იყენებს საკუთარ პროფესიულ შეფასებას, რათა განსაზღვროს ის ფუნქციური ვალუტა, რომელიც ყველაზე სარწმუნოდ ასახავს ფუნდამენტური ტრანზაქციების, მოვლენებისა და პირობების ეკონომიკურ შინაარსს.

ფონდის ინვესტიციები და ოპერაციები გამოსახულია აშშ დოლარსა ან ევროში. ფონდის აქციების განთავსება და გამოსყიდვა განისაზღვრება წმინდა აქტივების ღირებულებაზე დაყრდნობით და ფულადი სახსრების მიღება-გადახდა ხდება აშშ დოლარში. ფონდის ხარჯები (მათ შორის მმართველობისა და სამოტივაციო საკომისიოების ანაზღაურება) უმეტესად გამოსახულია აშშ დოლარში. შესაბამისად, ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ ფონდის ფუნქციური ვალუტაა აშშ დოლარი.

აღრიცხვის საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ ვარაუდით, რომ ფონდი არის უწყვეტად მოქმედი საწარმო და თავის საქმიანობას გააგრძელებს უახლოეს მომავალში. ხელმძღვანელობას აქვს განზრახვა საქართველოში ფონდის საქმიანობის შემდგომი განვითარების. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენება ფონდისთვის შესაფერისია.

3.კრიტიკული შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ხელმძღვანელობა ახორციელებს შეფასებებსა და დაშვებებს. ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვან რისკს ქმნის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ჩამოთვლილია ქვემოთ:

(ა)ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება - ფონდს შეიძლება ჰქონდეს ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აქტიურ ბაზრებზე არ არის კოტირებული. ასეთი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება შეფასების ტექნიკები, ისინი გადამოწმდება და პერიოდულად გადაისინჯება ფონდის იმ თანამშრომლების მიერ, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის პროცესში ჩართული პირისგან.

(ბ)ფუნქციური ვალუტა - ფონდი აშშ დოლარს მიიჩნევს იმ ვალუტად, რომელიც ყველაზე სარწმუნოდ ასახავს ფუნდამენტური ტრანზაქციების, მოვლენებისა და პირობების ეკონომიკურ შინაარსს. აშშ დოლარია ის ვალუტა, რომელშიც ფონდი ზომავს საკუთარ შედეგებს და ანგარიშგებას ამზადებს, აგრეთვე ის ვალუტა, რომელშიც ფონდი იღებს აქციების გამოშვებიდან ფულად სახსრებს. ეს გადაწყვეტილებაც ეფუძნება კონკურენტულ გარემოს, სადაც ფონდი შედარებულია სხვა საინვესტიციო პროდუქტებთან, რომლებიც აშშ დოლარშია გამოხატული.

4.ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე ფონდს აქვს შემდეგი რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდობის რისკი;
- საბაზრო რისკები; და
- საოპერაციო რისკები (ძირითადად გადატანილია აქტივების მმართველზე).

ეს შენიშვნა მოიცავს ინფორმაციას ფონდის მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების შესახებ, რომლებიც გამოიყენება რისკების შეფასებისა და მართვისთვის, ასევე ფონდის კაპიტალის მართვის შესახებ.

რისკის მართვის ჩარჩო

ფონდი ინვესტიციებს ახორციელებს ფინანსურ ინსტრუმენტებში მისი საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად. ფონდის საინვესტიციო პორტფელი ძირითადად შედგება უზრუნველყოფილი კორპორატიული სესხებისგან, რომლებიც გაცემულია სხვადასხვა ვადით და ეკუთვნის ქართული ბანკების კორპორატიულ პორტფელს.

ფონდის აქტივების მმართველს მინიჭებული აქვს უფლება, მართოს აქტივები ფონდის საინვესტიციო მიზნების შესაბამისად. სტრატეგიულ აქტივების განაწილებასთან (იგივე სამიზნე აქტივების განაწილება) და პორტფელის შემადგენლობასთან შესაბამისობას აქტივების მმართველი რეგულარულად აკონტროლებს. იმ შემთხვევებში, როდესაც პორტფელი გადაუხვევს სამიზნე აქტივების განაწილებას, ფონდის აქტივების მმართველი ვალდებულია, მიიღოს ზომები, განსაზღვრული ვადების ფარგლებში, პორტფელის დასაბალანსებლად დადგენილი ლიმიტების შესაბამისად.

საკრედიტო რისკი

„საკრედიტო რისკი“ არის რისკი, რომ მსესხებელმა, ფასიანი ქაღალდის გამცემმა ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარემ ვერ შეასრულოს ფონდის მიმართ აღებული ვალდებულება ან მოვალეობა, რაც გამოიწვევს ფონდისთვის ფინანსურ ზარალს. იგი ძირითადად წარმოიშობა სესხის პორტფელებიდან და ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტებიდან. საკრედიტო რისკის მართვის ანგარიშგების მიზნებისთვის, ფონდი განიხილავს და აერთიანებს საკრედიტო რისკის ყველა კომპონენტს (როგორცაა ინდივიდუალური სუბიექტის დეფოლტის რისკი, ქვეყნის რისკი და სექტორული რისკი).

ფონდის პოლიტიკა საკრედიტო რისკთან მიმართებით არის ის, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს მისი ზემოქმედება სექტორულ და მონაწილე მხარეების რისკებზე, იმ სესხებში ინვესტირებით, რომლებიც შეესაბამება ფონდის პროსპექტში განსაზღვრულ სტანდარტებს. ნორმალურ პირობებში ფონდი ახორციელებს ინვესტიციის მინიმუმ 80%-ს საკუთარი აქტივებიდან უზრუნველყოფილ კორპორატიულ სესხებში, რომლებიც წარმოდგენილია ქართული ბანკების კორპორატიულ პორტფელში. ფონდი სესხები დაყოფილია სამ ქვეკატეგორიად, შიდა რეიტინგის სახელმძღვანელოს შესაბამისად და ინვესტიციები გადანაწილდება ქვემოთ მოცემული პრინციპების მიხედვით:

- A კლასის სესხები - ფონდის აქტივების 100%-მდე
- B კლასის სესხები - ფონდის აქტივების 80%-მდე
- C კლასის სესხები - ფონდის აქტივების 40%-მდე

სესხების შეფასებისას 30% წონა მიეკუთვნება თვისობრივ ანალიზს და 70% რაოდენობრივ ანალიზს. ქულის გამოსათვლელად გამოყენებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

- კომპანიის ფინანსური პროფილი: ვალი/“EBITDA“, თანაფარდობის კოეფიციენტი, სესხის მომსახურების კოეფიციენტი;
- მრეწველობა
- საქმიანობის პროფილები
- პოზიცია ბაზარზე
- ჯგუფის სტრუქტურა
- კორპორატიული მმართველობის სტანდარტი;

თითოეული კრიტერიუმი შეიწონება, შესაბამისი ქულა გამოითვლება და გავრცელდება სესხზე. ქულის მიხედვით, ფონდს ექნება სესხები, აქტივების სამი კლასის მიხედვით:

რეიტინგი	ქულა
A კლასი	> 2.5
B კლასი	1.5 - 2.5
C კლასი	< 1.5

ფონდის მიზანია შეამციროს სექტორული რისკი ინვესტიციების დივერსიფიკაციის გზით. აქტივების კლასის ფარგლებში, დიდი რისკების დაშვების გამო არახელსაყრელი შედეგებისგან პორტფელის დაცვის მიზნით, ფონდი მიიღებს სიფრთხილის გონივრულ ზომებს ზედმეტი საინვესტიციო კონცენტრაციების თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, გამოყენებული იქნება შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები:

- ფონდმა სესხის ინვესტიციების სინდიკირების განაკვეთი უნდა შეზღუდოს მაქსიმუმ 35%-მდე;
- ფონდმა თავისი რისკის პოზიცია თითოეულ სექტორში უნდა შეზღუდოს ფონდის აქტივების 30%-მდე;
- ფონდს არ შეუძლია თავისი ინვესტიციების 25%-ზე მეტი მიაკუთვნოს ერთ მსესხებელს;
- ფონდს არ შეუძლია თავისი ინვესტიციების 30%-ზე მეტი მიაკუთვნოს მსესხებელთა ჯგუფს;
- ფონდი ერთ საინვესტიციო ინსტრუმენტში საინვესტიციო ინსტრუმენტის დაუფარავი თანხის 35%-ზე მეტ ინვესტიციას არ განახორციელებს.

- ფონდს არ შეუძლია თავისი აქტივების 10%-ზე მეტის ინვესტიცია განახორციელოს იმავე ემიტენტის მიერ გამოშვებულ ობლიგაციებში.

საკრედიტო რისკს აქტივების მმართველი აკონტროლებს ყოველთვიურად, მოქმედი პოლიტიკებისა და პროცედურების შესაბამისად. აქტივების მმართველი შეამოწმებს ლიმიტებს დივერსიფიკაციის კრიტერიუმების მიხედვით, ხოლო თითოეული ინვესტიციის ფინანსური შედეგები და საკრედიტო რისკი შეფასდება კვარტალურად. აქტივების მმართველი განახორციელებს პორტფელის მიმოხილვას, რამდენად ზუსტია აქტივების განაწილება მათი მიზნობრივი პროპორციების მიმართ, რომლებიც განსაზღვრულია სტრატეგიული აქტივების განაწილებით. იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო რისკი არ შეესაბამება ფონდის საინვესტიციო პოლიტიკას ან სახელმძღვანელო პრინციპებს, აქტივების მმართველი ვალდებულია 90 დღის განმავლობაში მოახდინოს პორტფელის დაბალანსება იმ მომენტიდან, როცა დადგინდება, რომ პორტფელი არ შეესაბამება განსაზღვრულ საინვესტიციო პარამეტრებს.

ლიკვიდობის რისკი

„ლიკვიდობის რისკი“ არის რისკი, რომ ფონდს შესაძლებელია გაუჭირდეს რომ შეასრულოს ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია მის ფინანსურ ვალდებულებებთან და რომლებიც გადაიხდება ნაღდი ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემის გზით.

ფონდის პოლიტიკა და აქტივების მმართველის მიდგომა ლიკვიდობის მართვის მიმართ არის ის, რომ უზრუნველყოს, ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდობა ვალდებულებების დროულად, მათ შორის აქციებზე გამოსყიდვების მოსალოდნელი მოთხოვნების შესრულებისთვის, ისე რომ არ დადგეს მოულოდნელი ზარალის ან ფონდის რეპუტაციის დაზიანების რისკის წინაშე.

ფონდს აქვს პროსპექტის მიხედვით უფლებამოსილება უწყვეტი რეჟიმით ახალი აქციების გამოშვებისა და ნახევარწლიურად აქციების გაუქმების განხორციელებაზე, რასაც ეწოდება შესყიდვის ან გამოსყიდვის პერიოდი.

ფონდი დგას ლიკვიდობის რისკის წინაშე, რაც ნიშნავს, რომ მას შეიძლება გაუჭირდეს აქციონერთა აქციების გამოსყიდვის მოთხოვნების დაკმაყოფილება. აღნიშნული მოთხოვნების შესრულება უნდა მოხდეს მიღებიდან 90 დღის განმავლობაში

აქციების ფლობელები, რომლებსაც სურთ წილების გამოსყიდვა, ვალდებული არიან დააფიქსირონ შესაბამისი მოთხოვნა:

- (i) არაუგვიანეს 30 აგვისტოსა და არანაკლებ 15 აგვისტოს, თუ გამოსყიდვა დაკავშირებულია მეორე კვარტლის შედეგებთან; ან
- (ii) არაუგვიანეს 1 მარტისა და არანაკლებ 15 თებერვლისა, თუ გამოსყიდვა დაკავშირებულია მეოთხე კვარტლის შედეგებთან.

ფონდის ფინანსური აქტივები ძირითადად მოიცავს არაკოტირებულ საკრედიტო ინვესტიციებს, რომლებიც, როგორც წესი, არალიკვიდურია. შედეგად, ფონდს შესაძლოა გაუჭირდეს ამ ინსტრუმენტების ნაწილის დროული გადაქცევა ლიკვიდურ აქტივებად, რათა დააკმაყოფილოს ლიკვიდურობის მოთხოვნები.

ფონდის ლიკვიდობის რისკს მართავს აქტივების მმართველი არსებული პოლიტიკებისა და პროცედურების შესაბამისად, რათა ფონდმა შეძლოს ნახევარწლიური ვალდებულებების შესრულება. ფონდი ახორციელებს გამოსყიდვის შეთავაზებების დაფინანსებას საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებით, სესხებით მოზიდული ფულით ან პორტფელის ინსტრუმენტების ლიკვიდურ აქტივებად გარდაქმნის გზით.

იმ დროიდან, როდესაც გამოსყიდვის შეთავაზების შეტყობინება გაიგზავნება აქციების მფლობელებთან, აქციების გამოსყიდვის გადახდის თარიღამდე, ფონდი უნდა დარწმუნდეს, რომ მისი წმინდა აქტივების ნაწილი შეადგენდეს გამოსყიდვის შეთავაზების ოდენობის სულ მცირე 100%-ს.

აქტივების მმართველი იყენებს სტრეს-ტესტს ფონდის ლიკვიდობის მოთხოვნის დასათვლელად, სადაც ლიკვიდური აქტივი განისაზღვრება როგორც მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და დასტრესილი ფულადი ნაკადების ჯამს. როდესაც ლიკვიდობის ბუფერის მოცულობა უტოლდება სამიზნე ლიკვიდობის მოთხოვნას, ფონდი შეძლებს, სრულად შეასრულოს ყველა გადახდის ვალდებულება და სტრესული სცენარის პირობებშიც კი შეუფერხებლად გააგრძელოს ოპერაციები მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში.

სს დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ლარში)

სტრეს-ტესტირება ეფუძნება ფონდის მოსალოდნელ ფულადი ნაკადებისა და ხარჯების ანალიზს ექსტრემულ პერიოდებში. ტესტირება ტარდება პორტფელში ინვესტირებამდე და პერიოდულად ახლდება განახლებული ინფორმაციის საფუძველზე, თუმცა არანაკლებ ყოველთვიურად.

სამიზნე ლიკვიდობის მოთხოვნა გამოითვლება მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე სტრესული სცენარის გამოყენებით. სტრეს-ტესტი მოიცავს როგორც საბაზრო მასშტაბის, ასევე ინდივიდუალურ რისკების ეფექტებს.

ფონდის საერთო ლიკვიდობის რისკს აქტივების მმართველი აკონტროლებს ყოველთვიურად. ფონდის გამოსყიდვის პოლიტიკა საშუალებას იძლევა მხოლოდ ნახევარწლიურ გამოსყიდვებზე, რაც შეადგენს ფონდის წმინდა აქტივების ღირებულების 7.5-9.5%-ს თითოეულ გამოსყიდვის პერიოდში. გარდა ამისა, წილის მფლობელებს აქვთ უფლება მოითხოვონ საკუთარი წილების გამოსყიდვა დამატებითი გასვლის უფლებით, კვარტალური „put option“-ის გამოყენებით. თითოეულ წილის მფლობელს შეუძლია გამოისყიდოს მაქსიმუმ 1,000,000 წილი გამოსყიდვის დღეს არსებული ფასად, დამატებითი 1%-იანი საკომისიოს გადახდით მოთხოვნილი გასვლის ოდენობაზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ანალიზს უკეთებს ფონდის ფინანსურ ვალდებულებებს შესაბამისი ვადიანობის ჯგუფებად, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე დარჩენილი პერიოდის მიხედვით. ცხრილში მოცემული თანხები წარმოადგენს კონტრაქტით განსაზღვრულ, არადისკონტირებულ ფულადი ნაკადებს და ეფუძნება ფონდის გამოსყიდვის პოლიტიკის შესაბამისად მიღებულ ვარაუდს.

ფინანსური ვალდებულება	6 თვემდე	6 თვიდან 1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლის შემდეგ	31 დეკემბერი 2024 წელი
სხვა ვალდებულება	491,822				491,822
გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის მისაკუთვნილები წმინდა აქტივები	6,865,071	6,101,863	20,161,606	55,094,702	88,223,242
	<u>7,356,892</u>	<u>6,101,863</u>	<u>20,161,606</u>	<u>55,094,702</u>	<u>88,715,064</u>
ფინანსური ვალდებულება	6 თვემდე	6 თვიდან 1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლის შემდეგ	31 დეკემბერი 2023 წელი
სხვა ვალდებულება	527,276				527,276
გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის მისაკუთვნილები წმინდა აქტივები	8,479,251	4,519,986	14,934,814	40,811,685	68,745,735
	<u>9,006,526</u>	<u>4,519,986</u>	<u>14,934,814</u>	<u>40,811,685</u>	<u>69,273,011</u>

საბაზრო რისკი

„საბაზრო რისკი“ არის რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასების ცვლილებები - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთების, სავალუტო კურსების, აქციების ფასებისა და საკრედიტო სპრეიდების მერყეობა - მოახდენს გავლენას ფონდის შემოსავალზე ან მის მიერ ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე.

ფონდის სტრატეგია საბაზრო რისკის მართვაში განისაზღვრება მისი საინვესტიციო მიზნებით. ფონდის საინვესტიციო მიზანია მიმდინარე შემოსავლის შექმნა. ფონდი ცდილობს ამ მიზნის მიღწევას აქტივების ოპტიმალური განაწილებით, ფართო სპექტრის საკრედიტო სტრატეგიებში.

ფონდის საბაზრო რისკს მართავს და აკონტროლებს აქტივების მმართველი, მოქმედი პოლიტიკებისა და პროცედურების შესაბამისად.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ფონდი ექვემდებარება იმ რისკს, რომ მისი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიძლება მერყეობდეს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების შედეგად. ფონდი ნაკლებად დგას საპროცენტო განაკვეთების რისკის წინაშე, რადგან ფონდს აქვს როგორც ცვლადი, ისე

სს დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ლარში)

ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთთან სესხებში განხორციელებული ინვესტიციები, რაც ნაწილობრივ იცავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების შედეგად წარმოქმნილ რისკს.

შიდა პროცედურები ავალდებულებს აქტივების მმართველს, მართოს საპროცენტო რისკი ყოველდღიურ საფუძველზე, მოქმედი პოლიტიკებისა და პროცედურების შესაბამისად.

სავალუტო რისკი

ფონდი ინვესტიციებს ახორციელებს ფინანსურ ინსტრუმენტებში, რომლებიც, როგორც წესი, ნომინირებულია იგივე ვალუტაში, რაც ფონდის ფუნქციური ვალუტაა. შესაბამისად, ფონდი ამცირებს იმ რისკს, რომ მისი ფუნქციური ვალუტის გაცვლითი კურსი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით შეიცვლება ისე, რომ ეს არასურველად იმოქმედებს ფონდის ფინანსური აქტივების ან ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაზე ან მომავალ ფულადი ნაკადებზე, რომლებიც ნომინირებულია აშშ დოლარის გარდა სხვა ვალუტაში.

ფონდის სავალუტო რისკს მართავს და აკონტროლებს აქტივების მმართველი მოქმედი პოლიტიკებისა და პროცედურების შესაბამისად. აქტივების მმართველი აფასებს სხვადასხვა სცენარს ვალუტის კურსის მერყეობისთვის, ისტორიული ცვლილებების ანალიზის საფუძველზე.

ფონდის ექსპოზიცია უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	GEL
ფინანსური აქტივები	
ფინანსური აქტივები შეფასებული სამართლიანი ღირებულებით	84,675,231
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4,039,833
	88,715,064
ფინანსური ვალდებულებები	
სხვა ვალდებულებები	491,822
სულ ვალდებულება (გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის მისაკუთვნიებელი წმინდა აქტივების გამოკლებით)	491,822
გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის მისაკუთვნიებელი წმინდა აქტივები	88,223,242

ფონდის ექსპოზიცია უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	GEL
ფინანსური აქტივები	
ფინანსური აქტივები შეფასებული სამართლიანი ღირებულებით	67,861,122
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1,411,889
	69,273,011
ფინანსური ვალდებულებები	
სხვა ვალდებულებები	527,276
სულ ვალდებულება (გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის მისაკუთვნიებელი წმინდა აქტივების გამოკლებით)	527,276
გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის მისაკუთვნიებელი წმინდა აქტივები	68,745,735

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საბაზრო გაცვლითი კურსების გონივრული ზრდა ან შემცირება არ წარმოშობს ფონდზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის პოტენციურ ეფექტს.

საოპერაციო რისკი

„საოპერაციო რისკი“ არის რისკი, რომელიც უკავშირდება პირდაპირი ან არაპირდაპირი ზარალის წარმოშობას სხვადასხვა მიზეზის გამო. ეს მიზეზები დაკავშირებულია იმ პროცესებთან, ტექნოლოგიასთან და ინფრასტრუქტურასთან, რომლებიც უზრუნველყოფს ფონდის საქმიანობას ფინანსური ინსტრუმენტებით - როგორც ფონდის შიგნით, ასევე ფონდის დაკავშირებულ მხარეებთან. გარდა ამისა, იგი შეიძლება წარმოიშვას გარე ფაქტორებიდანაც, რომლებიც არ უკავშირდება საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდობის რისკებს; მაგალითად, სამართლებრივი და რეგულატორული მოთხოვნებიდან ან საინვესტიციო მენეჯმენტის ზოგადად აღიარებული სტანდარტებიდან. აღსანიშნავია, რომ ფონდის ყველა ოპერაციას ახორციელებს მისი აქტივების მმართველი, შესაბამისად, ოპერაციული რისკი ძირითადად გადადის აქტივების მმართველზე და აქ მოცემულია მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისთვის.

ფონდის მიზანია საოპერაციო რისკის მართვა ისე, რომ ერთის მხრივ შეზღუდოს ფინანსური ზარალი და რეპუტაციის დაზიანება, ხოლო მეორეს მხრივ უზრუნველყოს მისი საინვესტიციო მიზნის - ინვესტირებისთვის სარგებლის შექმნის მიღწევა.

საოპერაციო რისკის კონტროლის განვითარების და განხორციელების ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება დირექტორთა საბჭოს.

ეს პასუხისმგებლობა მხარდაჭერილია საოპერაციო რისკის მართვის ზოგადი სტანდარტების შემუშავებით, რომელიც მოიცავს კონტროლებსა და პროცედურებს მომსახურების განმახორციელებელ მხარეებთან, ასევე მომსახურების დონეების დადგენას შემდეგ სფეროებში:

- კონტროლებისა და პროცედურების დოკუმენტირება;
- მოთხოვნები, მათ შორის:
- შესაბამისი ფუნქციების, როლებისა და პასუხისმგებლობების გამიჯვნის უზრუნველყოფა
- ტრანზაქციების რეკონსილიაცია და მონიტორინგი; და
- ოპერაციული რისკის პერიოდული შეფასება;
- კონტროლებისა და პროცედურების ადეკვატურობა გამოვლენილი რისკების დასაფარად;
- რეგულატორულ და სხვა სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- საგანგებო სიტუაციების გეგმების შემუშავება;
- სწავლება და პროფესიული განვითარება;
- ეთიკური და ბიზნეს სტანდარტები; და
- რისკების შემსუბუქება, მათ შორის დაზღვევის გამოყენება, თუ ეს ეფექტიანია.

კაპიტალის მართვა

ფონდის კაპიტალი წარმოდგენილია გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის მიკუთვნებული წმინდა აქტივებით. გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის მიკუთვნებული წმინდა აქტივების ოდენობა შეიძლება შეიცვალოს ექვს თვეში ერთხელ, რადგან ფონდი ექვემდებარება ნახევარწლიურ გამოსყიდვებს აქციონერების შეხედულებისამებრ, ასევე ცვლილებებს, რომლებიც გამოწვეულია ფონდის საქმიანობიდან. კაპიტალის მართვისას ფონდის მიზანია დაიცვას ფონდის შესაძლებლობა, გააგრძელოს ფუნქციონირება, რათა უზრუნველყოს აქციონერებისთვის სარგებელი, უზრუნველყოს სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის და შეინარჩუნოს ძლიერი კაპიტალი ფონდის საინვესტიციო საქმიანობის განვითარების მხარდასაჭერად.

კაპიტალის სტრუქტურის შესანარჩუნებლად, ფონდის პოლიტიკა მოიცავს შემდეგს:

- აქციების განთავსებებისა და გამოსყიდვების მონიტორინგი იმ აქტივებთან მიმართებით, რომელთა ლიკვიდაციასაც ფონდი ვარაუდობს, და ამასთანავე, დივიდენდების ოდენობის კონტროლს, რომელსაც ფონდი უხდის გამოსყიდვადი აქციების მფლობელებს.

სს დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ლარში)

- ახალი აქციების გამოსყიდვა და გამოშვება ფონდის შესაბამისი დოკუმენტების მიხედვით, რომლებიც მოიცავს როგორც გამოსყიდვების შეზღუდვის შესაძლებლობას, ისე გარკვეული მინიმალური შესყიდვის მოთხოვნას.

დირექტორთა საბჭო და აქტივების მმართველი აკონტროლებენ კაპიტალს გამოსასყიდი აქტივების მფლობელებზე მისაღები წმინდა აქტივების ღირებულების მიხედვით.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

გარკვეული სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისთვის

რეალური ღირებულება განისაზღვრება ფასს-ის რეალური ღირებულების იერარქიის შესაბამისად, რომლის თანახმად რეალური ღირებულების შეფასების მეთოდებში გამოსაყენებელი საწყისი მონაცემები სამ დონედ იყოფა:

- 1-ლი დონის საწყისი მონაცემები: იდენტური ინსტრუმენტების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის. ბაზარი ითვლება აქტიურად, თუ კოტირებული ფასები ადვილად და რეგულარულად ხელმისაწვდომია და ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებს სტანდარტულ კომერციულ პირობებში.
- მე-2 დონის საწყისი მონაცემები: მოცემული ინსტრუმენტის შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემი, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (ფასები) ან არაპირდაპირ (ფასებისგან წარმოებული). ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება შემდეგი მეთოდების გამოყენებით: ანალოგიური ინსტრუმენტების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები; ანალოგიური ინსტრუმენტების ისეთი ბაზრის კოტირებული ფასები, რომელიც არ არის აქტიური; ან შეფასების სხვა მეთოდები, სადაც ყველა მნიშვნელოვანი საწყისი მონაცემი პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებში.
- დონე 3 - არადაკვირვებადი მონაცემები. ამ კატეგორიაში შედის ყველა ის ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის შეფასების მეთოდოლოგია იყენებს ისეთი ტიპის მონაცემებს, რომლებიც ბაზარზე ღიად ხელმისაწვდომი არ არის, და სწორედ ამ დაუდგენელ მონაცემებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ინსტრუმენტის შეფასებაზე. ასევე, ამ ჯგუფში შედის ინსტრუმენტებიც, რომლებიც ფასდება მსგავსი ინსტრუმენტების საბაზრო ფასებზე დაყრდნობით, მაგრამ საჭიროებს მნიშვნელოვან კორექტირებებს ან ვარაუდებს მათ შორის არსებული განსხვავებების გასათვალისწინებლად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში სამართლიანი ღირებულების იერარქიაში გაანალიზებულია ფონდის აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
ფინანსური აქტივები შეფასებული სამართლიანი ღირებულებით	1,228,545	-	83,446,686	84,675,231
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4,039,833		-	4,039,833
	4,039,833	-	88,892,004	88,715,061
ფინანსური ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	-	-	491,822	491,822
გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის მისაკუთვნიელი წმინდა აქტივები	-	-	88,400,183	88,223,239

ქვემოთ მოცემულ ცხრილში სამართლიანი ღირებულების იერარქიაში გაანალიზებულია ფონდის აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

სს დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ლარში)

	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
ფინანსური აქტივები შეფასებული სამართლიანი ღირებულებით	-	-	67,861,122	67,861,122
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1,411,889	-	-	1,411,889
	1,411,889	-	67,861,122	69,273,011
ფინანსური ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	-	-	527,276	527,276
გამოსყიდვადი აქციების მფლობელებისთვის მისაკუთვნიებული წმინდა აქტივები	-	-	68,745,735	68,745,735

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხდება იმ ფასად, რომელსაც ფონდი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გადაცემისას, რაც უნდა განხორციელდეს ორგანიზებულად, ნორმალური ბაზრის პირობებში, შეფასების თარიღისთვის. თუმცა, რადგან ამ შეფასებაში ხშირად გამოიყენება სუბიექტური მოსაზრებები და არსებობს გაურკვევლობები, სამართლიანი ღირებულება არ ნიშნავს, რომ აქტივი შესაძლებელია დაუყოვნებლივ იმავე ფასად გაიყიდოს ან ვალდებულებები იქნას ფონდმა სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების მიზანია, მივიღოთ ისეთი ფასი, რომელიც ასახავს იმ რეალურ ღირებულებას, რაც ნორმალურ გარიგებაში ბაზრის მონაწილეებს შორის დაფიქსირდებოდა. ამ შემთხვევაში გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი (Discounted cash flow model) - ანუ სამომავლო ფულადი ნაკადების შემოძინების დადისკონტირება დღევანდელ ღირებულებაზე.

5. ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით შეფასებული

ფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, შედგება იმ ინვესტიციებისგან, რომლებიც განხორციელებულია ქართულ ბანკებში სხვადასხვა ვადიანობის მქონე და უზრუნველყოფილ კორპორატიულ სესხებში

ფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სექტორების მიხედვით:

ეკონომიკური სექტორი	31-Dec-24	კონცენტრაცია	31-Dec-23	კონცენტრაცია
უმრავი ქონების დეველოპმენტი	21,411,157	25%	15,787,203	23%
უმრავი ქონების მენეჯმენტი	15,509,855	18%	8,893,687	13%
სასმელები	9,551,072	11%	6,413,248	9%
განათლება	9,012,708	11%	7,400,406	11%
ტრანსპორტი	8,761,463	10%	1,332,420	2%
წარმოება	5,858,297	7%	3,084,083	5%
სასტუმროები	5,040,446	6%	4,831,101	7%
საკვები ობიექტები	2,847,796	3%	2,692,738	4%
ენერგეტიკა	2,801,557	3%	14,047,441	21%
FMCG	2,652,339	3%	0	0%
ფინანსური ინსტიტუტები	1,228,545	1%	3,378,795	5%
	84,675,231	100%	67,861,122	100%

6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს საბანკო ანგარიშებზე, აშშ დოლარში განთავსებულ ფულად სახსრებს.

7. გამოსყიდვადი აქციები

ფონდის გამოსყიდვადი აქციების რაოდენობა შეადგენს 29,999,998 აქციას, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებით 1 აშშ დოლარი. აღნიშნული აქციები უზრუნველყოფილია თანაბარი ხმის უფლებით, აქვთ დივიდენდების მიღების უფლება და ასევე უფლება მიიღონ პროპორციული წილი ფონდის წმინდა აქტივებიდან, რომლებიც მიეკუთვნება გამოსყიდვადი აქციების მფლობელებს. ყველა გამოშვებული გამოსყიდვადი აქცია სრულად არის გადახდილი.

შენიშვნა №1-სა და შენიშვნა №4-ში აღწერილი რისკების მართვის პოლიტიკის შესაბამისად, ფონდი იღებს ვალდებულებას, რომ გამოშვებული აქციებიდან მიღებული ფულადი სახსრები მიმართოს შესაბამის ინვესტიციებში, პარალელურად ინარჩუნებდეს საკმარის ლიკვიდობას აქციების გამოსყიდვის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ფონდის წმინდა აქტივების ღირებულება ერთ აქციაზე ფინანსური ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით შეადგენს 1.0477 აშშ დოლარს (2.9407 ლარი).

ფონდმა 2024 წელს დივიდენდების სახით გაანაწილა 2,844,972 აშშ დოლარი (7,985,267 ლარი). აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს გამოცხადებულ დივიდენდს.

8. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი შედგება დარიცხული შემოსავლისგან, რომელიც მიღებულია უზრუნველყოფილ კორპორატიულ სესხებში ინვესტიციებიდან, სხვადასხვა ვადიანობის, ქართული ბანკების კორპორატიული პორტფელიდან.

9. მართვის საკომისიო

ფონდის მმართველი არის აქტივების მართვის კომპანია. მართვის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ფონდმა დანიშნა აქტივების მმართველი, რომელიც ფონდისთვის უზრუნველყოფს მენეჯმენტის მომსახურებას. აქტივების მმართველი იღებს ანაზღაურებას, რომელიც დაითვლება გამოსყიდვადი აქციების წმინდა აქტივების ღირებულებიდან და იხდის კვარტალურად, წლიური 1%-იანი განაკვეთით. 2024 წელს მთლიანი მენეჯმენტის საფასურმა შეადგინა - 861,626 ლარი.

აქტივების მმართველი ასევე გამოიმუშავებს სამოტივაციო საკომისიოს, რომელიც წარმოადგენს სამიზნე სარგებლის ზემოთ დაგენერირებული შემოსავლის 30%-ს, სამიზნე სარგებელი შეადგენს 6 თვიან SOFR დამატებული 4.9282%.

საანგარიშგებო პერიოდისთვის სამოტივაციო საკომისიოს ღირებულებამ შეადგინა- 33,320 ლარი

10. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები მიიჩნევა დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა, აკონტროლოს მეორე მხარე ან მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა მეორე მხარის ფინანსურ ან ოპერაციულ გადაწყვეტილებებზე.

მართვის საკომისიო - ფონდის მმართველია აქტივების მართვის კომპანია. მართვის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ფონდმა დანიშნა აქტივების მმართველი, რომელიც უზრუნველყოფს ფონდისთვის მენეჯმენტის მომსახურებას. მენეჯმენტის ჯამური ანაზღაურება წარმოადგენილია შენიშვნაში №9.

სამოტივაციო საკომისიო - აქტივების მმართველი ასევე იღებს სამოტივაციო საკომისიოს ფონდისგან. სამოტივაციო საკომისიოსთან დაკავშირებული ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში №9.

აქტივების მმართველი არ ფლობს აქციებს ფონდში ანგარიშგების პერიოდში და ასევე ანგარიშგების პერიოდის თარიღისათვის.

11. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფონდს არ ჰქონია მიმდინარე სასამართლო დავები.

გადასახადები - საგადასახადო კანონმდებლობას შესაძლოა ჰქონდეს განსხვავებული ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, იმის გამო, რომ ხელმძღვანელობის ინტერპრეტაცია საგადასახადო კანონმდებლობის შესახებ შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისგან, ტრანზაქციები შეიძლება გახდეს საგადასახადო ორგანოს მიერ გამოწვევის ქვეშ, რის შედეგადაც ფონდს შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ფონდი მიიჩნევს, რომ ყველა საგადასახადო გადასახადი და დარიცხვა უკვე ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, საგადასახადო ხანდაზმულობის ვადა არის 3 წელი.

12. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ ყოფილა ისეთი შემდგომი მოვლენები, რომლებიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებას.

13. არსებითი პოლიტიკის შეჯამება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივები

ფონდი თავის ინვესტიციებს ყოფს, როგორც ფონდის ბიზნეს-მოდელის, ასევე ფინანსური აქტივების კონტრაქტული ფულადი ნაკადების მახასიათებლების საფუძველზე. ფინანსური აქტივების პორტფელი იმართება და მისი შედეგიანობა ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. ფონდის ძირითადი აქცენტი გაკეთებულია სამართლიანი ღირებულების ინფორმაციაზე და სწორედ ამ ინფორმაციის გამოყენებით აფასებს აქტივების ეფექტიანობას და იღებს გადაწყვეტილებებს. ფონდის სესხის პორტფელის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მოიცავს მხოლოდ ძირითადი თანხის და საპროცენტო შემოსავლებს, თუმცა აქტივები არ არის ფლობილი არც მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და არც ერთდროულად ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით. სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება არის მხოლოდ დამატებითი ფაქტორი ფონდის ბიზნეს-მოდელის ძირითადი მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, ყველა ინვესტიცია იზომება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვის გზით.

ბიზნეს მოდელის შეფასება

ფლობელობაში არსებული ფინანსური აქტივის გამოყენებული ბიზნეს-მოდელის შეფასებისას მიზნის, ფონდი ითვალისწინებს ყველა შესაბამის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ იმართება ბიზნესი, მათ შორის:

- დოკუმენტირებული საინვესტიციო სტრატეგია და ამ სტრატეგიის პრაქტიკაში განხორციელება;
- როგორ ფასდება პორტფელის შედეგიანობა და როგორ ეგზავნება ანგარიში ფონდის მენეჯმენტს;
- ის რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნეს-მოდელის (და მასში არსებულ ფინანსურ აქტივებზე) შედეგიანობაზე, და ამ რისკების მართვის მეთოდები; და
- როგორ ხდება აქტივების მმართველის ანაზღაურება: მაგალითად, ანაზღაურება ეფუძნება თუ არა მმართველობის ქვეშ არსებული აქტივების სამართლიანი ღირებულებას თუ მისაღები სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს.

ფონდმა განსაზღვრა, რომ მას აქვს ორი ბიზნეს-მოდელი:

- სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებაზე ორიენტირებული ბიზნეს-მოდელი (Held-to-collect business model): მოიცავს ფულსა და ფულად ექვივალენტებს და სხვა დებიტორულ დავალიანებებს. აღნიშნული ფინანსური აქტივები ფლობელობაშია საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად.
- სხვა ბიზნეს-მოდელი: მოიცავს საინვესტიციო სესხის პორტფელებს. აღნიშნული ფინანსური აქტივები იმართება და მათი შედეგიანობა ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გზით (FVTPL).

ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება FVTPL-ში, თუ იგი კლასიფიცირებულია როგორც სავაჭროდ

სს დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ლარში)

შენახული, არის დერივატივი ან თავიდანვე ასეა განსაზღვრული აღიარებისას. FVTPL-ით ფინანსური ვალდებულებები იზომება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო წმინდა მოგება ან ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას ასევე აღიარებულია მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით:

- მოიცავს სხვა ვალდებულებებს და გამოსყიდვად აქციებს.

ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვის გზით (FVTPL):

- ფლობილია სავაჭროდ : ფონდს არ აქვს ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც FVTPL.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს აქვთ სამართლებრივი უფლება და განზრახვა დაარეგულირონ დაავალიანება ურთიერთგაქვითვის გზით, ან მოახდინონ აქტივის რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ერთდროულად.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებას გასდის ვადა ან არსებითად არის გადაცემული მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა, აქტივის საბალანსო ღირებულებას (ან იმ აქტივის ნაწილს, რომელსაც აღიარება შეწყვეტილია) და მიღებულ ანაზღაურებას შორის სხვაობა (მათ შორის ნებისმიერი ახალი მიღებული აქტივი გამოკლებული ახალი აღებული ვალდებულებით) აღიარებულია მოგება-ზარალში. ფინანსურ ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მისი კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები შესრულებულია, გაუქმებულია ან ამოწურულია. ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება საბალანსო ღირებულებისა და გადახდილი ანაზღაურების (მათ შორის ნებისმიერი გადაცემული არა-ფულადი აქტივი ან აღებული ვალდებულება) შორის სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

„სამართლიანი ღირებულება“ არის ფასი, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვისთვის ან გადახდილი იქნებოდა ვალდებულების გადაცემისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი ტრანზაქციის დროს განხორციელების თარიღში ძირითად ან, მისი არარსებობის შემთხვევაში, ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე, რომელზეც ფონდს წვდომა აქვს ამ თარიღისთვის. ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ასახავს მისი შეუსრულებლობის რისკს.

როდესაც ეს შესაძლებელია, ფონდი ზომავს ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებას ამ ინსტრუმენტის აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასის გამოყენებით. ბაზარი ითვლება „აქტიურად“, თუ აქტივის ან ვალდებულების ტრანზაქციები ხორციელდება საკმარისი სიხშირით და მოცულობით, რომ უზრუნველყოფილი იყოს ფასების შესახებ ინფორმაცია მუდმივად. თუ აქტიურ ბაზარზე არ არის კოტირებული ფასი, მაშინ ფონდი იყენებს შეფასების ტექნიკას, რომელიც მაქსიმალურად ზრდის შესაბამისი დაკვირვებად მონაცემების გამოყენებას და მინიმუმამდე ამცირებს არადაკვირვებადი მონაცემების გამოყენებას. არჩეული შეფასების ტექნიკა მოიცავს ყველა იმ ფაქტორს, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ტრანზაქციის ფასის დადგენისას.

გამოსყიდვადი აქციები

ფონდი უშვებს გამოსყიდვად აქციებს. ფონდი სთავაზობს ინვესტორებს, ნახევარწლიურად გამოისყიდოს საკუთარი გამოშვებული აქციები მინიმუმ 7.5-9.5%. აღნიშნული აქციები კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულებები. გამოსყიდვადი აქციები არის გამოშვებული და მისი გამოსყიდვა ხორციელდება მფლობელის სურვილის შესაბამისად, ფასებში, რომლებიც ეფუძნება ფონდის წმინდა აქტივების ღირებულებას თითო აქციაზე, გამოშვების ან გამოსყიდვის მომენტში. წმინდა აქტივების ღირებულება აქციაზე გამოითვლება გამოსყიდვადი აქციების მფლობელებზე მისაკუთვნიბელი წმინდა აქტივების გაყოფით მთლიან გამოშვებულ

გამოსყიდვად აქციების რაოდენობაზე.

ფულადი სახსრები და ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოადგენს ერთეულებს, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ცნობილ ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და მისი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს და დეპოზიტებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია. თანხები, რომლებიც დაბლოკილია სამ თვეზე მეტი ხნით, ამოღებულია კატეგორიიდან „ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები“.

დაბეგვრა

ფონდის დაბეგვრა

ფონდი კვალიფიცირდება, როგორც საინვესტიციო კომპანია საგადასახადო კოდექსის 231-ე მუხლის შესაბამისად.

მოგების გადასახადი

საინვესტიციო კომპანიის მიერ მოგების განაწილება, თუ მიმღები არის ფიზიკური პირი ან არარეზიდენტი, იხვერება 5%-იანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო კომპანია ახორციელებს ინვესტიციებს მხოლოდ საბანკო დეპოზიტებში და/ან ფინანსურ ინსტრუმენტებში და 15%-იანი განაკვეთით ყველა სხვა შემთხვევაში. დამატებით, საინვესტიციო კომპანიის მიერ მოგების განაწილება ფიზიკურ პირზე ან არარეზიდენტზე გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან, თუ ის შემოსავალი, საიდანაც დივიდენდი იხდება: (1) არ წარმოადგენს საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს; ან (2) მიეკუთვნება იმ შემოსავალს, რომელიც მიღებულია რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ, საქართველოში საჯარო შეთავაზებით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების გაყიდვით; ან (3) მიეკუთვნება ნამეტ შემოსავალს, რომელიც მიღებულია საქართველოს მთავრობის ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების გაყიდვით, ან ასეთ სავალო ფასიანი ქაღალდებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლისგან, ან კომერციულ ბანკში განთავსებული დეპოზიტიდან მიღებულ შემოსავალს.

საინვესტიციო კომპანიის მიერ ფიზიკურ პირზე ან არარეზიდენტ საწარმოზე გადახდილი დივიდენდი არ ექვემდებარება წყაროსთან დაკავებას და არ შედის შემოსავლის მიმღების მთლიანი შემოსავლის შემადგენლობაში.

კაპიტალის მატებიდან შემოსავლის დაბეგვრა

ფიზიკური პირის ან არარეზიდენტის მიერ საინვესტიციო კომპანიის აქციების გაყიდვით ან გამოსყიდვით მიღებული სარგებელი იხვერება 5%-იანი განაკვეთით იმ საინვესტიციო კომპანიებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ინვესტიციებს ფონდის მსგავს ინსტრუმენტებში.

სავაჭრო და სხვა გადასახადები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია მაშინ, როდესაც შესრულებულია სახელშეკრულებო ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საპროცენტო შემოსავლები

სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი საპროცენტო შემოსავალი მოიცავს ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხულ პროცენტს, რომლებიც იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ გამოითვლება ფინანსური ინსტრუმენტის საწყის აღიარებისას, როგორც განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს დისკონტირებას სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდებისა ან მისაღები ფულისა, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, შემდეგზე:

- ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება.

საპროცენტო შემოსავლის გამოსათვლელად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთელ საბალანსო ღირებულებაზე. თუმცა, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც საკრედიტო რისკით

სს დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერი

(ლარში)

გაუფასურებულია, საწყისი აღიარების შემდეგ, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უზრუნდება საბალანსო საფუძველს.

ტრანზაქციის ხარჯები

ტრანზაქციის ხარჯები არის ხარჯები, რომლებიც გაწეულია ფინანსური აქტივების ან ვალდებულებების შესაძენად, რომელიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით. მათ შორის შედის აგენტებისთვის, მრჩველებისთვის, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილი საკომისიოები. ტრანზაქციის ხარჯები, მათი გაწევისას, დაუყოვნებლივ აღიარებულია მოგება-ზარალში როგორც ხარჯი.

გადასახდელი დივიდენდები გამოსყიდვადი აქციების მფლობელებზე

გამოსყიდვადი აქციების მფლობელებზე მოგების განაწილება აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მაშინ, როდესაც იგი ავტორიზებულია შესაბამისად და აღარ წარმოადგენს ფონდის მმართველობის საგანს. გამოსყიდვად აქციებზე მოგების განაწილება აღიარებულია როგორც ფინანსური ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის გადაფასება

სავალუტო ტრანზაქციების კონვერტირება სამუშაო ვალუტაში ხდება ტრანზაქციების თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები და ვალდებულებები კონვერტირებულია საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული თარიღის დახურვის კურსით.

ფულადი აქტივებიდან/ვალდებულებებიდან წარმოქმნილი სავალუტო მოგება და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშში „საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა(ზარალი)/ამონაგები“ მუხლში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გაცვლითი კურსი:

	GEL/USD
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8068

შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების პერიოდს შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც უზრუნველყოფენ დამატებით ინფორმაციას ფონდის ფინანსურ ანგარიშგებთან დაკავშირებით, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები რომლებიც გავლენას არ ახდენს ფონდის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის თარიღის მდგომარეობით, არსებითი მნიშვნელობის შემთხვევაში აისახება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.